ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6538251

ნომერი: AR1974298

თარიღი : 25.06.2023

გაცემის თარიღი : 30.06.2023

გაცნობის თარიღი : 30.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტვილდიანი პ/ნ 01008043924
- დ. მესტია გ.ჯაფარიძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 ივნისს №AR1974298 განცხადებით მომართა გიორგი ტვილდიანმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20

ივნისის №6512634 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებით №01.15.05.088.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებაში არასწორად არის მითითებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სახელი და გვარი და შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანების გამოცემის მომენტში (ისევე როგორც დღევანდელი მდგომარეობით) საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882021661664; მომზადების თარიღი: 09.08.2021 წ.) №01.15.05.088.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს „NGS Group“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406073895), თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, „მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი“ ველში მესაკუთრე სწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში „მოქ. გიორგი ხუნძაკიშვილის“ ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „NGS Group“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406073895).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6512634 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.